საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/244 “ 23 ” დეკემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ც. როხვაძის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 9 დეკემბრის №1/221 განკარგულებით ინიცირებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ კოლეგიაში მოსამართლის 32 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 26 მოსამართლე ახორციელებს.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 4 მოსამართლის, მათ შორის ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის - ციცინო როხვაძის განაცხადი. ციცინო როხვაძეს აქვს აღნიშნულ სასამართლოში მოსამართლედ მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება. ამასთან, იგი 2020 წლიდან თანამდებობაზე გამწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. ციცინო როხვაძის გამოცდილებისა და მოტივაციის გათვალისწინებით მას აქვს შესაბამისი უნარი გააგრძელოს მუშაობა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დატვირთვის პირობებშიც.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, ციცინო როხვაძე გათავისუფლდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ, 2020 წლის 28 დეკემბრიდან.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი